იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი, 12 ივნისი, 2023 წელი

ერთი მხრივ, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", ს/კ 405007200 (შემდგომში „მეიჯარე"), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი მუკნიაშვილის (პ/ნ 01001003179) მინდობილი პირის თამარ ცხადაძის (პ/ნ 60001021293) სახით და მეორე მხრივ [redacted] (შემდგომში „მოიჯარე"), ერთობლივად წოდებული, როგორც "მხარეები" და ცალ-ცალკე, როგორც "მხარე", ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში: „ხელშეკრულება"):

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მეიჯარე" გადასცემს, ხოლო „მოიჯარე" იჯარის უფლებით იღებს ქ. თბილისში, თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ 1500 კვ.მ არასასოფლო მიწის ნაკვეთს, ს/კ 81.08.33.221 (შემდგომში „ქონება"), წლიური საიჯარო ქირით 6000 (ექვსი ათასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით;

1.2 „ხელშეკრულების" მოქმედების ვადად განისაზღვროს 3 (სამი) წელი „ხელშეკრულების" გაფორმების დღიდან. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღედ ითვლება ამ ხელშეკრულების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღი.

მუხლი 2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

2.1 „მოიჯარის" მიერ „ქონებით" სარგებლობისთვის გადასახდელი ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების გაფორმებამდე გადახდილი ელ. აუქციონის საბოლოო შედეგით დაფიქსირებული ერთი თვის საიჯარო ქირის ოდენობის თანხა ჩაითვლება პირველი თვის საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებამდე გადახდილი ელ. აუქციონის საბოლოო შედეგით დაფიქსირებული ერთი თვის საიჯარო ქირის ოდენობის თანხა ჩაითვლება ბოლო თვის საიჯარო ქირის ანგარიშში. ამასთან, საიჯარო ქირა „მოიჯარემ" უნდა გადაიხადოს ყოველი მიმდინარე თვის 05 რიცხვამდე.

2.2 საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, „მეიჯარის" შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

ანგარიშსწორების ფორმით, „მეიჯარის" შემდეგ საბანკო ანგარიშებზე (მოიჯარის არჩევით), ჩარიცხვის გზით:
სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): [redacted]
ანგარიშის ნომერი: [redacted]
მიმღები ბანკი: [redacted]
სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): [redacted]
ანგარიშის ნომერი: [redacted]
მიმღები ბანკი: [redacted]

2.3. კომუნალური გადასახადებს (ელექტროენერგია, წყალმომარაგება და ინტერნეტი-ტელევიზია) მოჯარე იხდის საიჯარო ქირისგან დამოუკიდებლად.

2.3„ხელშეკრულების" 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში „მეიჯარე" წერილობით აცნობებს „მოიჯარეს".

2.4 საიჯარო ქირა „მოიჯარის" მიერ გადახდილად მიიჩნევა შესაბამის საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. „მოიჯარე" ვალდებულია:

3.1.1. აუნაზღაუროს „მეიჯარეს" „ქონების" დაზიანებით ან/და გაუარესებით გამოწვეული ზიანი, გარდა „ქონების" ნორმალური ცვეთისა;

3.1.2. დაფაროს „ხელშეკრულების" სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში -„საჯარო რეესტრი") რეგისტრაციის, აგრეთვე „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი (სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაური, თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურება და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.1.3. „ქონებით" სარგებლობისას დაიცვას „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობები და მათ

შესრულებაზე „მეიჯარეს“ წარუდგინოს ინფორმაცია წერილობითი მოთხოვნის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

3.1.4. თავისი უფლებების განხორციელებისას არ დაარღვიოს „მეიჯარის“ უფლებები.

3.2. „მოიჯარეს“ უფლება აქვს:

3.2.1. „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე ქვეიჯარით გასცეს „ქონება“ ან მისი ნაწილი;

3.2.2. მეიჯარეს უფლება აქვს, უარი უთხრას მოიჯარეს ქონების ქვეიჯარით გადაცემაზე, თუ ქვემოიჯარე წარმოადგენს მეიჯარისთვის არასასურველ პირს, ან გაიჯარებული უძრავი ქონება ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო მეიჯარისთვის მიუღებელია ქვეიჯარით გაცემა

3.2.3. მოითხოვოს იჯარით გადაცემული „ქონების“ დაბრუნება ნებისმიერი უკანონო მფლობელისაგან, აგრეთვე „ქონებით“ სარგებლობის ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრა და „ქონებისადმი“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც უნდა მოხმარდეს დაზიანებული „ქონების” აღდგენას.

3.3. „მეიჯარეს“ უფლება აქვს:

3.3.1. ნებისმიერ დროს, შეუფერხებლად დაათვალიეროს „ქონება“;

3.3.2. მოითხოვოს „მოიჯარის“ მიერ „ქონების“ დაზიანების ან გაუარესების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

3.3.3. „ხელშეკრულების“ ვადის გასვლის, ცალმხრივად მოშლის ან სხვა მიზეზით „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარის“ თანხმობის გარეშე, ცალმხრივად გააუქმოს „საჯარო რეესტრში“ წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაცია.

მუხლი 4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1. „ხელშეკრულების“ „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან „მეიჯარე“, „მოიჯარეს“ მფლობელობაში გადასცემს „ქონებას“.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა „მოიჯარეს” წაუყენა პრეტენზია იჯარის საგნის გამო იმ უფლების საფუძველზე, რომელიც წარმოიშვა იჯარის საგნის მიმართ „ხელშეკრულების” დადებამდე, „მოიჯარე” ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „მეიჯარეს”. ამასთან, მას უფლება აქვს მესამე პირს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც „მეიჯარეს” აქვს მის მიმართ.

4.3. „მოიჯარე” კარგავს ნივთობრივი ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ან/და ნივთობრივი ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლის აღმოჩენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს „ხელშეკრულების” გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღეში, „მეიჯარეს” არ აცნობებს ამის შესახებ.

4.4. „ქონების” ბუნებრივი და იურიდიული ნაყოფი ეკუთვნის „მოიჯარეს”.

4.5. „მეიჯარის“ საკუთრებას წარმოადგენს „მოიჯარის” მიერ „ქონებაზე” განხორციელებული განუყოფელი გაუმჯობესებანი.

4.6. მეიჯარე უფლებამოსილია ყოველწლიურად გადახედოს საიჯარო ქირის ოდენობას და შესთავაზოს დამქირავებელს კორექტირებული ქირის ოდენობის გადახდა. თუ მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გამქირავებელი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულების 6.1.4 პუნქტის საფუძველზე მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა.

4.7. მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული ქონების სხვა დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა, მოიჯარის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მოიჯარე” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

5.2. „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, „მოიჯარეს” ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და

არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მოიჯარეს“ ეკისრება პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

5.4. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მოიჯარეს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5. „მოიჯარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „მეიჯარეს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“. ამ შემთხვევაში, „მოიჯარეს“ არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

5.6. თუკი „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის ამოწურვის ან მისი სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარე“ „მეიჯარის“ შეტყობინების მიღების შემდგომ არ გამოათავისუფლებს „ქონებას“, იგი ვალდებულია გადაიხადოს „ხელშეკრულებით“ დადგენილი საიჯარო ქირა „ქონების“ გამონთავისუფლებამდე.

5.7. თუ „მოიჯარე“ საიჯარო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ასევე, „ხელშეკრულების“ ვადამდე მოშლის შემთხვევაში, არ დააბრუნებს „ქონებას“, „მეიჯარეს“ შეუძლია მოითხოვოს „ქონების“ დაბრუნების დაყოვნებით გამოწვეული ან/და იჯარის საგნისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.8. მოიჯარის, ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ, საიჯარო ფართით სარგებლობის პერიოდში, სარგე ბლობით გამოწვეული დაზიანებებისა თუ ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება მოიჯარეს.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულება“ წყდება:

6.1.1. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლით;

6.1.2. „მეიჯარის“ მიერ „ხელშეკრულების“ 5.5. მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელების შემთხვევაში;

6.1.3. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

6.1.4. იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა დასაშვები იქნება სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს", ან მისი უფლებამონაცვლის მიერ აღნიშნული ქონების საწარმოს კაპიტალიდან ამოღების ან მეიჯარის მიერ მოშლის თაობაზე ცალმხრივი ნების გამოვლენის შემთხვევაში. იჯარის ხელშეკრულების დასახელებული საფუძვლით მოშლის ვადა უნდა განისაზღვროს მოშლის თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს ორი თვის ოდენობით.

6.1.5. მეიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს საიჯარო ხელშეკრულება, თუ მოიჯარე სისტემატიურად ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს იჯარის საგნის მდგომარეობას, არ იხდის საიჯარო ქირას ერთი თვის განმავლობაში.

6.1.6. მეიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ, ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება, თუ ადგილი ექნება საიჯარო ქონებით ისეთი პირის მიერ სარგებლობას, ვისაც კომპანიის მიმართ პირადად გააჩნია დავალიანება, ან არსებობს რომელიმე ნებისმიერი შემდეგი გარემოება მოიჯარის პირის ოჯახის წევრს უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ გააჩნია დავალიანება (წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ოჯახის წევრად იგულისხმება აუქციონში გამარჯვებულ პირთან მუდმივად მცხოვრები ნებისმიერი პირი, რომელიც მასთან ერთად ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას); მოიჯარე იურიდიული პირი სამართლებრივად დაკავშირებულია პირთან, რომელსაც უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ გააჩნია დავალიანება (ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის აუქციონში გამარჯვებულ იურიდიულ პირთან სამართლებრივად დაკავშირებულ პირად ითვლება ის პირი, რომელიც თვითონ, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი რაიმე ფორმით ახორციელებს ხელმძღვანელობით, ან წარმომადგენლობით საქმიანობას ამ იურიდიულ პირში (უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით), თვითონ ან/და მისი ოჯახის წევრი ფლობს ამ იურიდიული პირის წილებს, აქციებს, პაის, ან ამ იურიდიულ პირში არის კომანდიტი, კომპლიმენტარი, მეპაიე).

...ᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛ...
...ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ...
№2043
...ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ....

6.1.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2. „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ შეწყვეტის თაობაზე „მეიჯარის“ „შეტყობინებით“ განსაზღვრულ ვადაში, ასევე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლისთანავე „მოიჯარემ“ უნდა გამოათავისუფლოს „ქონება“.

6.3.„ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, „ქონებაზე“ გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „მეიჯარის“ ან „მოიჯარის” კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

7.2. „მხარე“, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს“ ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე“ კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ საიჯარო ურთიერთობა გრძელდება „ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია „ქონების“ განადგურების გამო;

7.4. თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება ზედიზედ 30 დღეზე მეტ ხანს, თითოეულ მხარეს აქვს უფლება მოშალოს „ხელშეკრულება“ მეორე მხარისათვის სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ;

7.5. ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნულისა მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დებულებები.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

8.2. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის, მხარეთა რეკვიზიტებია:

8.2.1. „მეიჯარის” შემთხვევაში:
ელ. ფოსტა: info@amadco.ge
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70
ტელ: 222 6533

8.2.2. „მოიჯარის“ შემთხვევაში:
ელ. ფოსტა: [redacted]
მისამართი: [redacted]
ტელ.: [redacted]

8.3 „მოიჯარე” ვალდებულია შეატყობინოს „მეიჯარეს” მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მეიჯარის” მიერ „მოიჯარის” ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად.

8.4 „ხელშეკრულების“ 8.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „მეიჯარის“ მიერ „მოიჯარის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მოიჯარისათვის“ ჩაბარებულად მისი „მეიჯარისათვის“ ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1. „ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. „მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება „მხარეთა" შორის შეთანხმებით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს" გამარტივებულ წარმოებაზე, მეიჯარის არჩევით. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 მუხლის 1^1 ნაწილის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ მეიჯარის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცეს აღსასრულებლად.

მუხლი 10. ხელშეკრულების სხვა დებულებანი.

10.1. „ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია „მხარეთა" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის".
10.2. „ხელშეკრულების" ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.
10.3. სათაურები „ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.
10.4. „ხელშეკრულება" გაფორმებულია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, თითო გადაეცემა „მხარეებს", ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს.

„მეიჯარე"

წარმომადგენელი:

თამარ ცხადაძე

თამარ ცხადაძე

„მოიჯარე"

წარმომადგენელი:

[redacted]

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №2043
თარიღი "12" ... 2023 წ.
მ.რაოდენობა ...5... ხელმოწერა ...